განმარტებითი ბარათი

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, რომელიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში გარკვეული ცვლილებების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია კონსტიტუციური რეფორმის შედეგად, პრეზიდენტის სტატუსიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განსახორციელებელი უფლებამოსილებების ნაწილის სხვა ორგანოებისთვის გადანაწილება ან პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით განხორციელება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, რომელიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ამ პერიოდში გამოცემული მისი აქტები საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. ამდენად, გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია ცვლილებების განხორციელება ამ კანონში. კერძოდ, ცვლილებები შედის კანონის მე-2, მე-3, მე-10 და მე–14 მუხლებში, რომლებიც ეხება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, გაუქმებას, მისი ვადის გახანგრძლივებასა და კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემას, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისა და დროებითი ორგანოების დანიშვნასა და პრეზიდენტის წარმომადგენლის და/ან კომენდანტის დანიშვნას. ამ უფლებამოსილებებს პრეზიდენტი განახორციელებს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.

გარდა ამისა, კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებას და, შესაბამისად, ვერ ექნება კანონით დაკისრებული დამატებითი უფლებამოსილება. ამიტომ მე–13 მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას (ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებისა და წესის განსაზღვრა) განახორციელებს მთავრობა; ასევე მე–14 მუხლის მიხედვით, პრეზიდენტი მართალია ისევ თვითონ შემოიღებს დროებით მმართველობას, მაგრამ საქართველოს მთავრობას დააკისრებს ვალდებულებას შექმნას მმართველობის განმახორციელებელი დროებითი ორგანო ან

დანიშნოს თანამდებობის პირი და დადგენილებით განსაზღვროს მათი უფლებამოსილება. მე–14 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მთავრობის მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს უფლება აქვს დაიქვემდებაროს შესაბამის ადგილას განლაგებული სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული წესით. ეს იცვალება „მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით“.

პროექტით წარმოდგენილი კანონის მე–10 მუხლის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების მოქმედების კოორდინაციის, ხელმძღვანელობისა და თანამოქმედების მიზნით, პრეზიდენტის დეკრეტით, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაძლებელია მთავრობას დაეკისროს ვალდებულება დადგენილებით შექმნას დროებითი ორგანოები და/ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ადგილზე, დანიშნოს მთავრობის წარმომადგენელი და/ან კომენდანტი და განსაზღვროს მათი უფლებამოსილება. მოქმედი რედაქციით ამ საკითხებს უშუალოდ წყვეტდა პრეზიდენტი მთავრობის მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ადგილზე მთავრობის წარმომადგენელი და/ან კომენდანტი, მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ კანონის ფარგლებში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ხელშეწყობის საკითხებს.

მე–11 მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები როგორც საქართველოს ფარგლებიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის 73.5 პუნქტიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ეს უფლება უმჯობესია გადაეცეს საქართველოს მთავრობას, რომელიც დადგენილებით განსაზღვრავს კონკრეტულ სამინისტროებს, რომლებიც სპეციალისტებს მოიწვევენ თავისი სფეროების მიხედვით.

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, კანონპროექტით ასევე ზუსტდება, რომ საგანგებო მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენება შესაძლებელია მოხდეს პრეზიდენტის ბრძანებით, ნაცვლად პრეზიდენტის გადაწყვეტილებისა.

კანონის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.